პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 43 (9819) | შაბათი, 20 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

რაც უფრო განავითარებს საბჭოთა ხალხი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებს, რაც უფრო მეტ პროდუქციას მოგვცემს ჩვენი მრეწველობა და ჩვენი სოფლის მეურნეობა, მით უფრო მალე გადავწყვეტთ პროდუქტების სიუხვის შექმნის დიად ამოცანას და უზრუნველვყოფთ კომუნიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი

## თავისუფალ ხალხთა ეკონომიკისა და კეთილდღეობის აღმავლობა

დემოკრატიული ბანაკის ქვეყნები საბჭოთა კავშირის მეთაურობით თანმიმდევრულად ახორციელებენ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას. თავისუფალ ხალხთა მშვიდობიან მისწრაფებებს მკაფიოდ გამოხატავს მათი დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობა, მათი უდიდესი მიღწევები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

წლითიწლობით იზრდება საზოგადოებრივი წარმოება დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებში, მაღლდება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის დონე. სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობები მოწმობენ, თუ რა ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ამ ქვეყნების მშრომელებმა. გასულ წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1952 წელთან შედარებით გადიდდა: პოლონეთში — 17,5 პროცენტით, ჩეხოსლოვაკიაში — 10 პროცენტით, უნგრეთში — 11,8 პროცენტით, რუმინეთში — 14,4 პროცენტით, ბულგარეთში — 12 პროცენტით, ალბანეთში — 22 პროცენტით.

სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოების მშრომელთა წარმატებანი განსაკუთრებით ნათლად ჩანს იმის ფონზე, რაც ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში; სადაც სულ უფრო ცხადად ირკვევა ახალი ეკონომიური კრიზისის ნიშნები: მატულობს უმუშევრობა, იკვეცება მრეწველობის მშვიდობიანი დარგები, განუწყვეტლივ დიდდება ფასები, ძლიერდება ხალხის მასების გაღატაკება.

დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების მშრომელებმა, რომლებსაც კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ, შესანიშნავი ეკონომიური და სოციალური მიღწევები მოიპოვეს მოკლე ისტორიულ ვადაში. ევროპის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების მშრომელებმა ერთ ათწლეულზე ნაკლებ ხანში სამუდამოდ აღმოფხვრეს ეკონომიური ჩამორჩენილობა. დღეისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთსა და ალბანეთში ერთისამად და უფრო მეტად აღემატება ომამდელ დონეს.

ამ ქვეყნებში წარმატებით ვითარდება მძიმე ინდუსტრია — მთელი ეკონომიკის საფუძველთა საფუძველი. ამით იქმნება ამ ქვეყნების სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სოციალისტური რეკონსტრუქციის მტკიცე ბაზა. მაგალითად, პოლონეთს მეორე მსოფლიო ომამდე სამრეწველო წარმოების დონით ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა ევროპაში. ამჟამად სახალხო პოლონეთმა სამრეწველო პროდუქციის მოცულობით უკვე გაუსწრო იტალიას. ახლა პოლონეთში ერთ სულ მოსახლეზე თითქმის იმდენივე პროდუქცია მუშავდება, რამდენიც საფრანგეთში.

განვითარდა და განმტკიცდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სათბობისა და ენერგეტიკის ბაზა. მაგალითად, რუმინეთში ნავთის ამოღებამ გასულ წელს შეადგინა 9,3 მილიონი ტონა, რაც თითქმის მილიონი ტონით აღემატება ნავთის ყველაზე დიდ ამოღებას ძველ რუმინეთში. ჩეხოსლოვაკიის ელექტროსადგურებმა 1953 წელს სამჯერ და უფრო მეტი ელექტროენერგია გამოუშვეს, ვიდრე ბურჟუაზიული წყობილების დროს უშვებდნენ. პოლონეთში ომამდე იღებდნენ 38 მილიონ ტონა ქვანახშირს, ხოლო 1953 წელს ამოიღეს 88,6 მილიონი ტონა — ერთიორად და უფრო მეტი.

სერიოზული ცვლილებები მოხდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სოფლის მეურნეობაში. სახალხო ხელისუფლების წლებში შეიქმნა ასობით მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომლებსაც აქვთ ათეულ ათასობით ტრაქტორი და სხვა მანქანა. ისინი არსებით დახმარებას უწევენ საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და მშრომელ გლეხებს მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში. გაძლიერდა მშრომელ გლეხთა მისწრაფება, რომ გაერთიანდნენ საწარმოო კოოპერატივებად.

უდიდესი ცვლილებები მოხდა სახალხო ჩინეთში. მრავალმილიონიანმა ჩინელმა ხალხმა, რომელსაც სახელოვანი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მოიშორა ფეოდალური და უცხოელთა ბატონობის მძიმე უღელი და მტკიცედ დაადგა დიდ საზოგადოებრივ გარდაქმნების გზას. ჩინელი გლეხი თავდადებით შრომობს მიწაზე, რომელიც მემამულეებს ჩამოერთვათ. 48 მილიონამდე გლეხის მეურნეობა გაერთიანდა შრომითი ურთიერთდახმარების ჯგუფებად. ჩინეთის სოფელში შეიქმნა თოთხმეტი ათასი საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. სახალხო ჩინეთში წლითიწლობით მატულობს მარცვლეულის, ბამბის და სხვა კულტურების მოსავალი.

ჩინეთის სახელოვანი მუშათა კლასი მძლავრი, მოწინავე ინდუსტრიის მშენებლობას ახმარს მთელ ძალღონეს, მთელ თავის დაუშრეტელ ენერგიას. წარმატებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის დავალება, ხუთწლიანი გეგმისა, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციას, განამტკიცოს მისი თავდაცვისუნარიანობა, შექმნას ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების მტკიცე ბაზა. საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით ჩინეთში შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, კაშხალები და ელექტროსადგურები, მწყობრში დგება შახტები და მაღაროები. ჩინეთში გაიზარდნენ წარმოების ათასობით მოწინავე და ნოვატორი, რომლებიც გვიჩვენებენ შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშებს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დაუღალავად აღადგენენ თავიანთ მეურნეობას. ეყრდნობიან რა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეგობრულ დახმარებას, კორეის მშრომელები სწრაფად სპობენ მძიმე ზარალს, რომელიც უცხოელმა აგრესორებმა მიაყენეს კორეის სახალხო მეურნეობას.

თავისი მეურნეობის განვითარებაში დიდი მიღწევები აქვს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის ახალი ცხოვრების მშენებლობის გზით.

1953 წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხალხის მხარდაჭერაზე დაყრდნობით თანმიმდევრულად ახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობა, ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. 1953 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1952 წელთან შედარებით 12,5 პროცენტით გადიდდა.

დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ძლევამოსილი წინსვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების განუწრელ ზრდას. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშათა კლასის დიდი ნაწილი ჩაბმულია პატრიოტულ შეჯიბრებაში.

სახალხო ხელისუფლების არსებობის წლებში გაუმჯობესდა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების მშრომელთა კეთილდღეობა, ამაღლდა კულტურული დონე. აღარ არიან ქალაქში უმუშევრები, აღარ არიან სოფლად „ზედმეტი" ადამიანები. სახალხო ხელისუფლება სწრაფად მზარდი ეროვნული შემოსავლის დაახლოებით სამ მეოთხედს მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ახმარს. 1953 წელს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოსახლეობამ მნიშვნელოვნად მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი მიიღო, ვიდრე წინა წლებში. გაფართოვდა საბინაო მშენებლობის მასშტაბი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები საზოგადოებრივი წარმოების ზრდასა და გაუმჯობესებას უქვემდებარებენ იმას, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები. სამრეწველო განვითარების მიღწეულმა დონემ შესაძლებელი გახადა დაესახათ ხალხის კეთილდღეობის უფრო სწრაფი აღმავლობის პროგრამა. ეს პროგრამა, რომელსაც სიძნელეების გადალახვით ახორციელებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის სწრაფ განვითარებას, საბინაო და კულტურული მშენებლობის კიდევ უფრო ფართო გაქანებას.

სახალხო ხელისუფლება განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს იმისათვის, რომ გადიდდეს გლეხობის ეკონომიური დაინტერესება სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის აღმავლობით. ამ უკანასკნელ ხანს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მნიშვნელოვნად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ნორმები, გადიდდა სახელმწიფო დასამზადებელი ფასები. სახალხო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პოლიტიკურ, სამეურნეო და ორგანიზაციულ განმტკიცებას. მთელი ეს ღონისძიებანი კიდევ უფრო განამტკიცებენ მუშათა და გლეხთა კავშირს — სახალხო-დემოკრატიული წყობილების ურღვევ საფუძველს.

1953 წელს განმტკიცდა და გაფართოვდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ამასთანავე გაფართოვდა ამ ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობა მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, რომლებმაც მოისურვეს ივაჭრონ თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები თავიანთი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით განამტკიცებენ მშვიდობისა და სოციალიზმის ძალებს. ამ ქვეყნების ხალხები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მშვიდობის მტრების ოინებს და ამხილებენ მათს ცდებს — ხელყონ მშვიდობიანი შრომა, თავისუფალი ცხოვრება.

მტკიცდება ჩინეთის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან. სულ უფრო მძლავრი ხდება სოციალისტური ბანაკი — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უძლეველი ციხე-სიმაგრის ძალები. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები მტკიცე რწმენით შეჰყურებენ თავიანთ ხვალინდელ დღეს, რადგან იციან, რომ თავიანთი შრომითა და შემოქმედებითი ენერგიით ახალ-ახალ წარმატებას მოიპოვებენ ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის აღმავლობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

„პრავდის" 19/II მოწინავე.

## კასპელ მეცემენტეთა მორიგი გამარჯვება

კასპი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხანაში სასიხარულო ცნობა მიიღეს — 1953 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით კასპელ მეცემენტეებს კვლავ დაუტოვეს საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და მიაკუთვნეს ფულადი პრემია.

ამ გამარჯვების აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა იკისრა გასულ სამეურნეო წელთან შედარებით მიმდინარე წელს 18 პროცენტით მეტი ცემენტი მისცეს სამშობლოს და ახალი წარმატებით აღნიშნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 14 მარტი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად

### შეჯიბრება გაჩაღდა

ქარელი. (საკ. კორ.). სოფელ ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებით სახელი გაითქვა მერგოლურმა მარიამ გელაშვილმა. მან თავისი გამოცდილება შეასწავლა რგოლის წევრებს რ. ცეცხლაძეს, მ. ბალახაძეს, მ. კალმახელიძეს და ბ. შოშიაშვილს. შარშან ამ რგოლს მოსავლელად მიჩენილი ჰქონდა 4,15 ჰექტარი შაქრის ჭარხალი. თვითეულ ჰექტარზე მან მიიღო 515 ცენტნერი ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 270 ცენტნერისა. მოსავლიანობის გადიდებისათვის გელაშვილის რგოლს დაერიცხა 550 შრომადღე, პრემიის სახით მიეცა 25.300 მანეთი და 27 ცენტნერი შაქარი.

ახლა რგოლი საუკეთესოდ ემზადება გაზაფხულისათვის. საჭარხლე ნაკვეთებში შეიტანეს ორგანული სასუქი, მომარაგებული აქვთ მინერალური სასუქები თესვისას ნიადაგში შესატანად. გელაშვილის რგოლი იბრძვის თვითეულ ჰექტარზე 700 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მისაღებად. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ელენე არდემანაშვილის რგოლი.

### გააფართოეს სასათბურე მეურნეობა

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი კოლმეურნეები, მექანიზატორები და სპეციალისტები შემოქმედებითი შრომით უპასუხებენ. სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი" კარგად ემზადება საგაზაფხულო თესვისათვის, რათა მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. კოლმეურნეობებში შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააფართოეს თამბაქოს სასათბურო მეურნეობა.

### მებოსტნეები გაზაფხულისათვის ემზადებიან

გორი. (საკ. კორ.). აგროწესების ზუსტად განხორციელების შედეგად ბოსტნეულის უხვი მოსავალი მიიღო სოფელ კარალეთის კოლმეურნეობამ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მებოსტნეობის მეექვსე ბრიგადა (ხელმძღვანელი დ. მურადაშვილი). ბრიგადამ 2 ჰექტარზე მიიღო 451 ცენტნერი კომბოსტო, გეგმა კი 380 ცენტნერს ითვალისწინებდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში კოლმეურნეები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ. კოლმეურნეობამ უკვე დაგეგმა ერთიორად და უფრო მეტად გაადიდოს ბოსტნეული კულტურების მოსავალი.

### ჭიათურელი რაციონალიზატორების წვლილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად არიან ჩაბმული ჭიათურელი რაციონალიზატორები და გამომგონებლები. გასულ 1953 წელს მათ წარმოადგინეს 255 რაციონალიზატორული წინადადება. აქედან 200 წინადადება უკვე განხორციელებულია, ხოლო 18 წინადადება ახლა ინერგება. უკვე განხორციელებულ წინადადებათა დანერგვით მარგანეცის მრეწველობამ შარშან 1.332.400 მანეთი ეკონომია მიიღო, წინადადებათა ავტორებს კი ჯილდოდ დაურიგდათ 32.000 მანეთი.

საუკეთესო წინადადებათა ავტორები არიან დიმიტროვის სახელობის მაღაროს მექანიკოსი ს. ქადაგიძე, მაღაროს გამგე გ. მიროტაძე, სტალინის სახელობის მაღაროს ერთ-ერთი უბნის გამგე ვ. კაპანაძე, მე-11 გამამდიდრებელი ფაბრიკის გამგე ვ. საღინაძე, ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი შ. რიჟამაძე.

დ. ჭანკვეტაძე.

### რუსთავის მეტალურგების წინსვლა

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდ წარმატებებს აღწევენ და თანდათან მზარდ მაჩვენებლებს იძლევიან მოწინავე მილმგლინავები უფროსი მვალცავები დ. ძაგანია, გ. სულაძე, ტ. ტურაშვილი, ლ. დარასელია და ვ. რიმსკი, რომლებიც სისტემატურად გეგმის გადამეტებით იძლევიან მაღალხარისხოვან ფოლადის მილებს.

არანაკლები წარმატებით მუშაობენ დიდდიამეტრიანი მილების მგლინავები, რომლებმაც იანვრის დავალება 5 დღით ადრე გაანაღდეს.

### დაწინაურდნენ სამთო-სამრეწველო სკოლაში აღზრდილები

ტყვარჩელის მეშახტეებს შორის არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდად გაითქვეს სახელი ტყვარჩელის მეორე სამთო-სამრეწველო სკოლაში აღზრდილებმა მეშახტეთა ახალგაზრდული ბრიგადების ხელმძღვანელებმა გ. გელენავამ და ა. ვოუბამ, რომლებიც მეორე შახტში მუშაობენ. სტალინის სახელობის შახტში დაწინაურდნენ იმავე სკოლაში კურსდამთავრებული საშახტე კომბაინის მემანქანე ხ. ჯანაშია, მისი თანაშემწე ფ. სარახმედოვი, საბაგირო გზის მომსახურე ზეინკალი გ. გოქსაძე და სხვები.

მეორე სამთო-სამრეწველო სკოლის დირექციამ და მასწავლებელთა კოლექტივმა იკისრეს ასევე კარგად მოუმზადონ ქვანახშირის მრეწველობას მოსწავლეთა ის ნაკადი, რომელიც ახლა მეცადინეობს.

პ. ბარქაია.

### ფოთის წისქვილკომბინატში

— ვკისრულობთ პირველი კვარტალის გეგმა შევასრულოთ არჩევნების დღისათვის — 14 მარტისათვის, ხოლო წლიური გეგმა 1954 წლის 5 დეკემბრისათვის.

ასეთი ვალდებულება იკისრა ფოთის წისქვილკომბინატის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას. ამ ვალდებულებას კოლექტივი პირნათლად ასრულებს. განსაკუთრებით გამოირჩევიან ნ. ბარანოვი, ვ. ნეკრასოვი, ს. პლაკუშევი და ნ. ნეტისოვი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 120-140 პროცენტით ანაღდებენ.

კ. კომახიძე.

## ორი მოძმე რესპუბლიკის მაღაროელთა მეგობრობა

მარგანეცი (დნეპროპეტროვსკის ოლქი), 18 თებერვალი. (საკდესი). მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებს ნიკოპოლისა და ჭიათურის მარგანეცის აუზების კოლექტივებს. ორი მოძმე რესპუბლიკის მაღაროელები ეხმარებიან ერთმანეთს მადნის დამუშავების მეთოდების გაუმჯობესებაში, უზიარებენ მოწინავე გამოცდილებას.

უკრაინელმა მაღაროელებმა თავიანთ ქართველ ამხანაგებს გაუგზავნეს მათ მიერ შექმნილი მაგნიტური სეპარატორები, მადნის გასამდიდრებელი მანქანები. ამის მეოხებით მნიშვნელოვნად გადიდდა პირველი ხარისხის მარგანეცის კონცენტრატის გამოშვება. ტრესტ „ნიკოპოლმარგანეცის" ინჟინრებმა ჭიათურელ მაღაროელებს გადასცეს ნახაზები თავიანთი ახალი სანგრევ-სატვირთავი მანქანისა, რომლის საშუალებით ხორციელდება მადნის ამოღების, გამოტანისა და დატვირთვის შრომატევადი პროცესების სრული მექანიზაცია.

უკრაინელმა მნგრეველებმა გადაიღეს მადნის დამუშავების მოწინავე მეთოდები, რომლებიც ქართველმა ამხანაგებმა დანერგეს. მაქსიმოვის სახელობის მაღაროს შახტებში ფართოდ იყენებენ მარგანეცის მონგრევის პროგრესულ წესს, რომელიც შეიმუშავა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მბურღავმა ამხ. თოთაძემ. ახალი მეთოდით იღებენ რა მარგანეცს, № 28 შახტის მნგრეველებმა ნიკოლოზ კოვალიოვმა, კუზმა ნედოსტუპმა, ალექსანდრე რიაბენკომ ერთნახევარჯერ გაადიდეს შრომის ნაყოფიერება.

ქართველი მაღაროელების მაგალითისამებრ ამ მაღაროს № 26 შახტის მნგრეველები, მეტრანსპორტიორეები, ქანსატვირთავი მანქანებისა და ელმავლების მემანქანეები მექანიზმების მაღალ წარმადობას აღწევენ. ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, მათ უკვე გაუგზავნეს მეტალურგებს ასობით ტონა მარგანეცი, რომელიც თებერვალში გეგმის გადამეტებით ამოიღეს.

გუშინ აქედან ჭიათურაში გაემგზავრა უკრაინელ მაღაროელთა დელეგაცია, რომელიც ხელს მოაწერს მარგანეცის ორი უდიდესი აუზის კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებას.



რუსთავი. გასულ წელს ქალაქში აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა 23.530 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ცენტრალურ პროსპექტზე, ქალაქის შესასვლელთან აგებულია ერთი ტიპის ორი შენობა. ერთში უკვე შესახლდნენ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშები. მეორეც მალე დამთავრდება და მის 56 ბინაში ქარხნის მუშაკები შესახლდებიან. სურათზე: ორი ახალი სახლი ქალაქის შესასვლელთან.

ფოტო ვ. ზარიძისა.

## აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ბაქო, 18 თებერვალი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. ყრილობამ, რომელიც პრინციპული პარტიული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა, ამხილა დიდი ნაკლოვანებანი და შეცდომები აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობაში რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის, ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის დაყენების საქმეში. ყრილობამ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში არადამაკმაყოფილებლად ცნო. მიღებულ რეზოლუციაში დასახულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია არსებულ ნაკლოვანებათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრა და მთელი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირეულად გაუმჯობესება. ყრილობამ აირჩია აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

* * *

გაიმართა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ი. დ. მუსტაფაევი, მეორე მდივნად — ვ. ი. სამედოვი, მდივნად — მ. ა. ისკენდეროვი. არჩეულია აგრეთვე აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო.

## საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 36-ე წლისთავის შესახვედრად

ქალაქ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში დაიწყო მზადება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 36-ე წლისთავის დღესასწაულისათვის. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში იმართება მოხსენებანი და საუბრები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახელოვანი წლისთავის შესახებ.

16 თებერვალს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 36-ე წლისთავის შესახებ მოხსენებანი და საუბრები გაიმართა სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის საამქროებში, სახხავი ჩარხების ქარხანასა და დედაქალაქის სხვა საწარმოებში.

ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის კლუბში მოეწყო დიდი ფოტოგამოფენა. ბევრ სტენდზე ნაჩვენებია სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პერიოდის გმირული ეპიზოდები, აქვეა საბჭოთა კავშირის გმირების პორტრეტები.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო შეჯიბრება სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობს დედაქალაქის საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ათასობით წევრი.

### საზეიმო სხდომები

18 თებერვალს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ სვერდლოვის რაიონის მუშები, მოსამსახურეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები. აქ გაიმართა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 36-ე წლისთავისადმი. მოხსენება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი საბრძოლო გზის შესახებ გააკეთა გენერალ-ლეიტენანტმა მ. ა. კოზლოვმა.

კომინტერნის რაიონის მშრომელთა საზეიმო სხდომაზე მოხსენება გააკეთა ადმირალმა ნ. ე. ბასისტიმ, ტიმირიაზევის რაიონის საზეიმო სხდომაზე — გენერალ-ლეიტენანტმა ვ. მ. ლაიოკმა. (საკდესი).

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

# საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება

### მომხსენებელი ამხ. ო. დ. გოცირიძე

ამხანაგებო! სამანდატო კომისიის დავალებით ნება მიბოძეთ მოვახსენო ყრილობას კომისიის მუშაობის შედეგები.

სამანდატო კომისიამ შეამოწმა რწმუნებანი ყველა დელეგატისა, რომლებიც არჩეული არიან საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე წარმოსაგზავნად, როგორც გადამწყვეტი ხმის, ისე სათათბირო ხმის უფლებით.

რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში, გარდა ქალაქ თბილისისა და აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა, დელეგატებს ირჩევდნენ რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე; აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში — საოლქო პარტიულ კონფერენციებზე, ხოლო ქალაქ თბილისში საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. კომუნისტები, რომლებიც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხებიან, ყრილობის დელეგატებს ირჩევდნენ ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად.

საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, მორიგი ყრილობის მოწვევის საკითხის გადაწყვეტისას, დააწესა წარმომადგენლობის შემდეგი ნორმა: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით პარტიის 250 წევრისაგან და ერთი დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით — პარტიის წევრობის 250 კანდიდატისაგან.

სამანდატო კომისიამ შეამოწმა ყრილობის ყველა დელეგატის რწმუნებანი, აგრეთვე პარტიული კონფერენციების ოქმები, და მოახსენებს ყრილობას, რომ საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობაზე წარმოსაგზავნი დელეგატების არჩევნები ყველგან მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის შესაბამისად. კომისიამ მართებულად ცნო საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის ყველა არჩეული დელეგატის რწმუნებანი.

ამ ყრილობის დელეგატების არჩევნებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობა და დარაზმულობა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, ყველა კომუნისტის ერთსულოვანი მისწრაფება — იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყველა მითითების განუხრელად განხორციელებისათვის.

ამხანაგებო! საქართველოს კ. პ. XVI ყრილობაზე წარმოსაგზავნად არჩეულია 723 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 32 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. ეს ამხანაგები წარმოადგენენ სკკპ 167.046 წევრს და 9.427 წევრობის კანდიდატს, რომლებიც გაერთიანებული არიან საქართველოს კომპარტიის 9.417 პირველად პარტიულ ორგანიზაციაში (ა. წ. 1 თებერვლის მონაცემებით).

საქართველოს კომპარტიის წინა, XV ყრილობისათვის არჩეული იყო 693 დელეგატი გადამწყვეტი ხმის და 62 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით, რომლებიც წარმოადგენდნენ სკკპ 160.045 წევრს და 13.253 წევრობის კანდიდატს.

ჩვენს რესპუბლიკაში მრავალათასიანი პარტიული ორგანიზაციის არსებობა მოწმობს ხალხის უდიდეს ნდობას მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, კომუნისტური პარტიის დიდ პოპულარობასა და ავტორიტეტს მშრომელთა შორის.

ყრილობაზე წარმოსაგზავნად არჩეულ დელეგაციათაგან ყველაზე დიდია შემდეგი დელეგაციები: თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის დელეგაცია — 198 დელეგატი, აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციისა — 61 დელეგატი, აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციისა — 50 დელეგატი, ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა — 31 დელეგატი, სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციისა — 21 დელეგატი, მახარაძის რაიონული პარტიული ორგანიზაციისა — 18 დელეგატი, ზუგდიდის რაიონული პარტიული ორგანიზაციისა — 17 დელეგატი, ფოთის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა — 16 დელეგატი, რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა — 10 დელეგატი.

ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაში არიან პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის, სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის მუშაკები.

გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე დელეგატთა შორის 203 პარტიული მუშაკია, 188 — საბჭოთა მუშაკი, 31 — საწარმოთა მუშა, 43 — საწარმოთა ხელმძღვანელი, 59 — მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკი, 21 — სახალხო განათლების მუშაკი, 59 — საბჭოთა არმიის წარმომადგენელი.

დამახასიათებელია მონაცემები იმ დელეგატებზე, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ახალი გრანდიოზული გეგმები. ყველა პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღება ამჟამად მიპყრობილია ბრძოლაზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულ მითითებათა წარმატებით განხორციელებისათვის. სოფლად სამუშაოდ გაიგზავნენ ასობით სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ჩვენი პარტიის XVI ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაშიც. ყრილობის დელეგატთა შორის არიან: 40 — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 15 — მტს-ის დირექტორი, ტრაქტორისტები და კომბაინერები, აგრონომები და ზოოტექნიკოსები, კოლმეურნენი — სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

ასაკის მხრივ ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: 30 წლამდე ასაკისაა — 37 კაცი, 31-დან 40 წლამდე — 232 კაცი, 41-დან 50 წლამდე — 346 კაცი და 55 წელს ზევით — 108 კაცი.

პარტიული სტაჟის მიხედვით — პარტიის წევრად 1917 წლამდე შესული ამხანაგია 4 კაცი, 1917-დან 1924 წლამდე — 23 კაცი, 1925-დან 1930 წლამდე — 84 კაცი, 1931-დან 1940 წლამდე — 333 კაცი, 1941-დან 1945 წლამდე — 190 კაცი, 1946 წლიდან — 89 კაცი.

ეს მონაცემები მოწმობენ, რომ საქართველოს კომპარტია მტკიცედ იცავს ჩვენი პარტიის მოძღვრებას ძველი და ახალგაზრდა კადრების უნარიანად და სწორად შეხამებისა და განაწილების შესახებ, მოწმობენ იმას, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში, აგრეთვე სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის ყველა დანარჩენ უბანზე, გამოცდილ კადრებთან ერთად, პარტია აწინაურებს ბევრ ახალგაზრდა მუშაკს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პრაქტიკულ მუშაობაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი ზრუნვის მეოხებით ახალგაზრდობას ყველა შესაძლებლობა აქვს მიიღოს განათლება, დაეუფლოს სპეციალობას და მიღებული ცოდნა შემდეგ გამოიყენოს ხალხის, სამშობლოს სამსახურში.

ამას მოწმობენ მონაცემებიც ამ ყრილობის დელეგატთა განათლების შესახებ. დელეგატთა საერთო რაოდენობიდან 445 კაცს (61,5 პროცენტს) უმაღლესი განათლება აქვს, 89-ს (12,3 პროცენტს) — დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება და 116-ს (16 პროცენტს) — საშუალო განათლება.

ყრილობის დელეგატთა შორის სულ 78 ქალია, ანუ 10,7 პროცენტი. ჩვენს ქვეყანაში ქალი აქტიურ როლს ასრულებს სახელმწიფოს მართვაში, მონაწილეობს მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მუშაობაში. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობაში 43.161 ქალია, ანუ 24,6 პროცენტი. ასობით ქალი არჩეულია პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საკმაო ყურადღებას არ აქცევს ქალების დაწინაურებას ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე. კერძოდ, ცოტაა დელეგატი ქალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დელეგაციაში — 2 ქალი 21 დელეგატიდან, მახარაძის რაიონის დელეგაციაში — 1 ქალი 18 დელეგატიდან, ქუთაისის, გურჯაანის, მარნეულის, სიღნაღის, ტყიბულის, თელავისა და სხვა რაიონების დელეგაციებში. ხოლო რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის 10 დელეგატში, ახალციხის რაიონული ორგანიზაციის 9 დელეგატში და ჭიათურის რაიონული ორგანიზაციის 8 დელეგატში არც ერთი ქალი არ არის.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც განუხრელად ახორციელებს ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, ერთიან ძმურ ოჯახად შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ხალხები, გამოჭედა თანასწორუფლებიან ხალხთა ურღვევი მეგობრობა — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების პირობა.

ყრილობას ესწრებიან დელეგატები — ჩვენი თვალუწვდენი საბჭოთა სამშობლოს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. დელეგატებს შორის 602 ქართველია, 63 რუსი, 12 აფხაზი, 10 ოსი, 23 სომეხი, 6 აზერბაიჯანელი, 5 უკრაინელი. ეს ციფრები მოწმობენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, საუკუნეობრივ მეგობრობას ქართველ ხალხსა და დიდ რუს ხალხს შორის.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა XVI ყრილობაზე წარმოსაგზავნად აირჩიეს თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები — კომუნისტები, რომლებიც მუშაობენ პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა უბანზე. დელეგატთა შორის არის 7 საბჭოთა კავშირის გმირი — წარმომადგენლები ჩვენი შესანიშნავი მეომრებისა, ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შვილებისა, რომლებმაც დიდი სამამულო ომის წლებში თავი გამოიჩინეს ბრძოლებში საბჭოთა ხალხის ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ყრილობის დელეგატთა შორის 46 სოციალისტური შრომის გმირია. ესენი არიან უმთავრესად სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკები, ადამიანები, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ბრძოლაში ჩვენი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის და შემდგომი განვითარების მისაღწევად, მოსახლეობისათვის სურსათის და სწრაფად მზარდი მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შესაქმნელად.

კომუნისტებმა ყრილობის დელეგატებად აირჩიეს ამხანაგები, რომლებიც მთელ ძალღონეს ახმარენ ჩვენი სამშობლოს აყვავებისა და განმტკიცების საქმეს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს კომუნისტური მშენებლობისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ფრონტებზე. 648 დელეგატს აქვს მთავრობის ჯილდოები — საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდმივ ზრუნვას იჩენენ სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის, ჩვენი ხალხის სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. საქართველოს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, კულტურული, პარტიული მშენებლობის ყველა დარგში, აღწევენ წარმატებებს მეცნიერებისა და გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, შრომის ფრონტზე; ბევრ მათგანს მინიჭებული აქვს მაღალი პატივი — სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება. ჩვენი ყრილობის დელეგატთა შორის 15 ამხანაგს აქვს სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობა ყველა ჩვენი გამარჯვების ცხოველმყოფელი წყაროა, ჩვენი მტკიცე წინსვლის საფუძველია. ამ ერთიანობის ერთ-ერთი დამადასტურებელია უდიდესი ნდობა, რომელსაც ხალხი უწევს კომუნისტებს, ირჩევს რა მათ საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს დეპუტატებად. ყრილობის 30 დელეგატი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 119 — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 19 — ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატი და 283 — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი. ეჭვს გარეშეა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებშიც ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს და ამით კვლავ გაუწევს ნდობას პარტიას, მოიწონებს მის პოლიტიკას, რომელიც გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს.

* * *

ნება მიბოძეთ მოგახსენოთ სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატების შემადგენლობის შესახებ.

ყრილობაზე 32 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. გარდა ამისა, საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით კიდევ 36 ამხანაგს, რომლებიც არჩეული იყვნენ საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში წინა XV ყრილობაზე, მაგრამ არჩეული არ ყოფილან ამ ყრილობის დელეგატებად, მიეცა მანდატები სათათბირო ხმის უფლებით.

კონფერენციებზე სათათბირო ხმის უფლებით არჩეული დელეგატების საერთო რაოდენობიდან — 32 დელეგატიდან 18 კაცს უმაღლესი განათლება აქვს, 8-ს — საშუალო.

პარტიული სტაჟის მიხედვით სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატები შემდეგნაირად ნაწილდებიან: პარტიაში შევიდა 1940 წლამდე — 7 კაცი, 1941-დან 1945 წლამდე — 15 კაცი, 1946 წელს და უფრო გვიან — 10 კაცი. ამ ამხანაგებს შორის პარტიული მუშაკია 11, საბჭოთა მუშაკი — 3.

ამრიგად, ამხანაგებო, ჩვენი ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა ასახავს ჩვენი რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ნამდვილ შემადგენლობას.

ის ერთსულოვნება, რომელიც გამოიჩინეს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებებისა და კონფერენციების ჩატარების დროს, მოწმობს ჩვენი რიგების ერთიანობასა და დარაზმულობას, ლენინ — სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულებას, ხალხთა ურღვევ მეგობრობას, იმას, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია იყო, არის და იქნება ერთიანი, მონოლითური და მებრძოლი ორგანიზაცია, რომ ვერავინ და ვერასოდეს ვერ შეძლებს შეარყიოს ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან მჭიდრო მეგობრობაში, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გავწიოთ წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ! (ხანგრძლივი ტაში).

# კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

## ამხ ა. მ. დავითაშვილის სიტყვა

### პარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! გურჯაანის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ გაშალა მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების განსახორციელებლად. კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის, მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავლის მიღებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

1953 წელს რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 71,7 ცენტნერი ყურძენი, რაც 1949 წელთან შედარებით 16,7 ცენტნერით, ხოლო 1940 წელთან შედარებით 52,7 ცენტნერით მეტია. ყურძნის მაღალი მოსავლის მოყვანაში განსაკუთრებით ისახელა თავი სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ მთლიანი ფართობის სრულმოსავლიანი ვენახიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 122 ცენტნერი ყურძენი. სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე უდრის 98,3 ცენტნერს, გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში — 86,4 ცენტნერს.

სახელმწიფოს ჩაბარდა 10.100 ტონა ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.927 ტონისა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ახალი ვენახის გაშენებისა და ვაზის მყნობის გეგმები.

წარსულ წლებთან შედარებით გაიზარდა აგრეთვე სხვა კულტურების მოსავლიანობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა შესაძლებლობა და საშუალება იყოს გამოყენებული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. რაიონის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა თანაბარ ბუნებრივ პირობებში მეტად დაბალი მოსავალი მოიყვანეს.

გარკვეული მუშაობა გავწიეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, მაგრამ ამ მხრივაც ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. მართალია, პირუტყვის სულადობის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია, მაგრამ წლების მანძილზე არ სრულდება მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების გეგმა. ჩვენ ყველა ზომა მივიღეთ იმისათვის, რომ წელს შესრულდეს მეცხოველეობის როგორც სულადობის, ისე პროდუქტიულობის გეგმები.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცების შედეგად ყოველწლიურად იზრდება საკოლმეურნეო დოვლათი და შრომადღის ღირებულება. თუ 1952 წელს რაიონის კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 21,8 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1953 წელს 26,1 მილიონ მანეთს მიაღწია. 17 კოლმეურნეობიდან 1952 წელს მილიონერი იყო 9 კოლმეურნეობა, ახლა 12 კოლმეურნეობას თვითეულს მილიონნახევარ მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს. სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ შემოსავალმა 3 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

გაიზარდა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები. თუ 1952 წლისათვის ეს ფონდები 49 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1954 წლის 1 იანვრისათვის 53,5 მილიონ მანეთს მიაღწია. ამან კოლმეურნეობებს შესაძლებლობა მისცა ფართოდ გაეშალათ საწარმოო მშენებლობა.

რაიონში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, რომლებიც ვერ ასრულებენ დავალებას ვერც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და ვერც საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის ზრდის დარგში. ასეთ კოლმეურნეობათა რიცხვს ეკუთვნიან სოფელ ბაკურციხის, ჭანდრისა და კოლაგის სასოფლო-სამეურნეო არტელები. პარტიის რაიონული კომიტეტი სათანადო ზომებს იღებს ამ კოლმეურნეობათა დაწინაურებისათვის.

უკანასკნელ ხანს გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ქალაქ გურჯაანის კეთილმოწყობისათვის. მაგრამ ქალაქს ჯერ კიდევ არ ყოფნის სასმელი წყალი, ელექტროქსელი ავარიულ მდგომარეობაშია, მთავარი ქუჩები მოასფალტებული არ არის, სასტუმრო ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს, ქალაქს არა აქვს კულტურისა და დასვენების პარკი. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით არაფერი არ გაუკეთებია. სრულიად კეთილმოუწყობელია კურორტი ახტალა. ეს კარგად იციან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. ხელიძემ და მთავარი საკურორტო სამმართველოს უფროსმა ამხ. ცომაიამ, მაგრამ რატომღაც ამ საქმეს სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ. კურორტ ახტალის კეთილმოწყობით უნდა დაინტერესდეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

კახეთის რაიონებისათვის რკინიგზის გურჯაანის სადგური საკვანძო პუნქტს წარმოადგენს. ჩვენ დავაყენეთ საკითხი სადგურის გაფართოების, მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინების მშენებლობის და სადგურზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობის შესახებ. მაგრამ ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ არც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, არც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სათანადო განყოფილებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს თანხებს ხარჯავენ სახალხო განათლებისათვის. ამ მიზნით ჩვენს რაიონშიც დიდი სახსრები იხარჯება. მაგრამ რაიონის ზოგიერთ სკოლას არა აქვს შესაფერისი სასწავლო ბაზა, განსაკუთრებით სოფელ ველისციხის საშუალო სკოლას, სადაც 1.200-ზე მეტი მოსწავლეა. ამ სკოლის მშენებლობა ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ დაიწყო. ჩაიყარა საძირკველი, ნაწილობრივ ამოყვანილ იქნა პირველი სართული, შემდეგ კი მშენებლობა უყურადღებოდ იქნა მიტოვებული. ვფიქრობ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. ჯიბლაძე მიიღებს ზომებს დიდი ხნის წინათ დაწყებული მშენებლობის დამთავრებისათვის.

## ამხ. ა. ს. შენგელიას სიტყვა

### პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! ახორციელებს რა პარტიისა და მთავრობის დავალებებს, ფოთის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ ხანს ერთგვარ წარმატებებს მიაღწია.

ქალაქ ფოთის მრეწველობამ პროდუქციის გამოშვების 1953 წლის გეგმა 107,1 პროცენტით შეასრულა. ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა უზრუნველყვეს სათანადო მომზადება და ორგანიზებულად დაიწყეს 1954 წელი. გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ავანგარდულ როლს კომუნისტები ასრულებენ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქალაქის საწარმოებში ჯერ კიდევ ცოტა როდია გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი. ცალკეულმა სამრეწველო საწარმოებმა და ტრანსპორტმა ვერ მიაღწიეს რიტმულობას მუშაობაში. იმის შედეგად, რომ გასული წლის ცალკეული თვეების გეგმები ვერ შეასრულა, ქალაქის მრეწველობამ სახელმწიფოს დააკლო სამ მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

ფოთის საზღვაო ნავსადგურმა ტვირთის გადამუშავების წლიური გეგმა 98,9 პროცენტით შეასრულა. პარტიის საქალაქო კომიტეტმა სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროს წინაშე თავის დროზე დააყენა საკითხი, რომ საჭიროა დაცულ იქნას ფოთის ნავსადგურში გემების მიწოდების გრაფიკი. ჩვენი თხოვნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩაერია ამ საქმეში, მაგრამ არც სამინისტროს, არც შავი ზღვის სანაოსნოს დღემდე არ მიუღიათ ქმედითი ღონისძიებანი. გრაფიკის დარღვევა ამჟამადაც გრძელდება.

ასეთივე უთანაბრო მუშაობის გამო ფოთის რკინიგზის სადგურს არ ჩაუტვირთავს 3.362 ვაგონი სახალხო-სამეურნეო ტვირთები, რომლებიც გათვალისწინებული იყო ტვირთზიდვის წლიური სახელმწიფო გეგმით. ამიერკავკასიის რკინიგზაზე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები ვაგონების „დასტობით“ მიწოდებისა ფოთის სადგურში, რაც იწვევს ათეულ ათასობით ტონა ტვირთის დაგროვებას ნავსადგურში, წისქვილკომბინატში და სხვა საწარმოებში. ამასთან ერთად აღმოფხვრილი არ არის შემთხვევები, როცა ვაგონები ნორმით გათვალისწინებულზე მეტად ცდება კლიენტურის მიზეზით.

გასულ წელს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები და სარეწაო კოოპერაციის არტელები არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაზე. არ შესრულებულა პროდუქციის როგორც ხარისხის, ისე ასორტიმენტის გეგმა. საჭიროა, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭომ მეტი კონკრეტული დახმარება გაგვიწიონ სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების შემდგომი გაფართოებისა და გეგმების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისა და საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად. წლითიწლობით არ სრულდება სიმინდის მოსავლიანობის გეგმა, ცუდად არის განვითარებული ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოება, ჩამორჩენილია მეფრინველეობა, დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. კოლხიდის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

უკანასკნელ პერიოდში პარტიის საქალაქო კომიტეტის მთელი საქმიანობა, მთელი საქალაქო პარტორგანიზაციის მუშაობა მიმართული იყო პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისაკენ. საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ გარკვეული მუშაობა გასწია კომუნისტების, მთელი კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გასაუმჯობესებლად. ამასთან ერთად მთელი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში კიდევ მთელი რიგი სერიოზული ამოცანები უნდა გადაიჭრას. პარტიის რიგები საკმარისად არ იზრდება მოწინავე მუშებითა და კოლმეურნეებით. ის მდგომარეობა, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობაში 40 პროცენტზე მეტი ახალგაზრდა კომუნისტებია, ჩვენგან მოითხოვს ამ კადრების აღზრდის გაუმჯობესებას.

1952 წლის დამლევიდან კოლხიდმშენი შეუდგა მარეგულირებელი ნაგებობის მშენებლობას მდინარე რიონზე და მდინარის ძველი დაჭაობებული კალაპოტის კეთილმოწყობას ქალაქის ფარგლებში. განვლილ პერიოდში ძირითადად შესრულებულ იქნა მოსამზადებელი სამუშაოები. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაგვეხმარონ ქალაქ ფოთისათვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის მშენებლობის განხორციელების საქმეში. უწინარეს ყოვლისა საჭიროა უახლოეს დროში გადაიჭრას საკითხი ელექტროენერგიის გამოყოფისა მძლავრი მიწისმწოვი მანქანის ასამუშავებლად. დახმარება გვესაჭიროება აგრეთვე ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთა შესრულებაში. ჩვენ ვთხოულობთ, რომ სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს წინაშე დაისვას საკითხი პალიასტომის ტბის გამტკნარების სამუშაოთა განახლების შესახებ, რათა აღდგენილ იქნას ამ ტბის თევზსამეურნეო მნიშვნელობა.

უკანასკნელ წლებში ქალაქ ფოთის რაიონში თევზჭერა ინტენსიურად იზრდება. ამასთან დაკავშირებით დაწყებულ იქნა თევზის კომბინატის დაპროექტება. ვთხოვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაგვიწიოს დახმარება ქალაქ ფოთში თევზის კომბინატის დაპროექტების დაჩქარებისა და მშენებლობის განხორციელების საქმეში.

საჭიროა დაჩქარდეს კანალიზაციის მშენებლობა, ქალაქის წყლით მომარაგების გაუმჯობესება, აბანო-სამრეცხაო მეურნეობის გაფართოება, ქუჩების მოასფალტება. დიდი ხანია მომწიფდა ქალაქში ახალი კინოთეატრის მშენებლობის საკითხიც.

ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია იმ გადაუდებელი ამოცანების შესრულებაზე, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XIX ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებებიდან.

ფოთის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, იხელმძღვანელებს რა პარტიის XIX ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ამ ყრილობის გადაწყვეტილებებით, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაძლიერების საფუძველზე უზრუნველყოფს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც მას პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს.

# ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

ბერლინი, 18 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით ყოფილი სამოკავშირეო საკონტროლო საბჭოს შენობაში გაიმართა სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების დახურული სხდომა. ნაშუადღევს ოთხი სახელმწიფოს მინისტრები შეიკრიბნენ იქვე თავიანთ საბოლოო-ოცდამეშვიდე სხდომაზე.

საბოლოო სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. მ. მოლოტოვი.

მინისტრებმა დაამთავრეს განხილვა დღის წესრიგის მესამე პუნქტისა — „ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულება". ავსტრიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ლ. ფიგლმა პირველმა მიიღო სიტყვა. მან მოაგონა სხდომას, რომ წინა სხდომაზე, რომელზეც ავსტრიის საკითხი ირჩეოდა, მან ავსტრიის მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ავსტრიის მთავრობა ვერ მიიღებს იმ საბჭოთა წინადადებებს, რომ ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების ტექსტში შეიტანონ დამატებითი მუხლი 4-ბის, აგრეთვე რომ შეიცვალოს 33-ე მუხლი. მაგრამ, თქვა ფიგლმა, ავსტრიის მთავრობამ გადაწყვიტა შემოიტანოს ახალი წინადადება. ეს წინადადება ითვალისწინებს, რომ გაგრძელდეს ავსტრიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის ის ვადა, რომელიც აღნიშნულია 33-ე მუხლის თავდაპირველ ფორმულირებაში. ამასთან ავსტრიის მთავრობას მიაჩნია, რომ უცხოეთის ჯარების გაყვანის თარიღი ზუსტად უნდა აღინიშნოს. ამიტომ, განაგრძო ფიგლმა, ავსტრიის მთავრობის სახელით წინადადება შემომაქვს, რომ ჯარების გაყვანის ვადა, რომელსაც ხელშეკრულების პროექტის 33-ე მუხლის თავდაპირველი ტექსტი ითვალისწინებს, გაგრძელდეს ისე, რომ იგი დამთავრდეს არაუგვიანეს 1955 წლის 30 ივნისისა.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა მთელი რიგი შენიშვნები შეიტანა დღის წესრიგის განსახილველი პუნქტის შესახებ.

16 თებერვლის სხდომაზე, რომელზეც ავსტრიის საკითხი ირჩეოდა, თქვა მოლოტოვმა, საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ შეისწავლის ბ-ნ იდენის შენიშვნებს 4-ბის მუხლის პროექტის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციამ წარადგინა. იდენის შენიშვნები შეიცავდნენ იმ აზრს, რომ შეიძლებოდა ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების ტექსტში 4-ბის მუხლის შეტანის ნაცვლად, რომელიც ითვალისწინებს, რომ ავსტრიამ არ მიიღოს მონაწილეობა რაიმე კოალიციაში ან სამხედრო კავშირში, დავჯერებოდით ავსტრიის მთავრობის დეკლარაციას ამ საკითხზე. ეს აზრი ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია. მთელი საქმე დამოკიდებულია ასეთი დეკლარაციის ტექსტზე, რომელიც ჩვენ შეგვეძლო დაგვერთო ხელშეკრულებისათვის და ამრიგად უზრუნველგვეყო იმ მიზნის განხორციელება, რომელსაც ისახავს მუხლი 4-ბის, სახელდობრ, რომ ავსტრია არ შევიდეს რაიმე კოალიციაში ან სამხედრო კავშირში, რომელიც მიმართულია რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვინც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდა გერმანიის წინააღმდეგ ომში და ავსტრიის განთავისუფლებაში.

რაც შეეხება 33-ე მუხლს, განაგრძო მოლოტოვმა, საბჭოთა დელეგაციამ 16 თებერვლის სხდომაზე შეიტანა შესწორება ამ მუხლის რედაქციის მეხუთე პუნქტის ტექსტში. ახლა მე-5 პუნქტის ეს ნაწილი, როგორც ცნობილია, ასეა ჩამოყალიბებული:

„იმის გამო, რომ გაჭიანურდა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს უფლება ექნებათ ავსტრიასთან ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დროებით გადადონ ავსტრიის შესაბამისი ზონების ტერიტორიებიდან თავიანთი ჯარების გაყვანის ვადა. ამასთან ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს საჭიროდ მიაჩნიათ არაუგვიანეს 1955 წლისა კვლავ განიხილონ ავსტრიის ტერიტორიიდან ოთხი სახელმწიფოს ჯარების გაყვანის საკითხი".

ბ-ნ ფიგლის დღევანდელი განცხადება, თქვა მოლოტოვმა, შეესაბამება საბჭოთა დელეგაციის აღნიშნულ წინადადებას. მაგრამ ეს განცხადება საკმარისი არ არის და დამაკმაყოფილებლად ვერ გადაწყვეტს იმ საკითხს, რომელსაც ითვალისწინებს 33-ე მუხლი. შექმნილი ვითარების გამო უნდა ვაღიაროთ, რომ ახლა ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ შეთანხმება არ შეიძლება მიღწეულ იქნას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება შემდგომი მოლაპარაკება ვაწარმოოთ ამ საკითხზე შეთანხმების მისაღწევად.

საბჭოთა მთავრობას, თქვა დასასრულ ვ. მ. მოლოტოვმა, მიაჩნია, რომ ავსტრიის მთავრობა დარწმუნდება იმაში, რომ 33-ე მუხლის შესახებ სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებათა უკანასკნელი რედაქცია შეესაბამება ავსტრიის ძირითად ინტერესებს. საბჭოთა მთავრობა აგრეთვე ფიქრობს, რომ ამ საკითხზე შესაძლებელია შეთანხმება ოთხ სახელმწიფოს შორის.

შემდეგ გამოვიდა ჯ. დალესი. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას უკან მიაქვს ყველა თავისი დათმობა, რაც მან ამ თათბირზე გააკეთა ავსტრიის ხელშეკრულების ტექსტის შესახებ. ამრიგად, მაშინ როცა სსრ კავშირის დელეგაციამ თათბირზე მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ავსტრიის საკითხში შეთანხმების მისაღწევად, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ უარი თქვა თავის საკუთარ წინადადებებზეც კი იმის შესახებ, რომ ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის შეუთანხმებელი მუხლები მიეღოთ იმ რედაქციით, რომელსაც მოადგილეთა თათბირზე მოითხოვდა სსრ კავშირის წარმომადგენელი. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ცხადყო, რომ ნამდვილად მას არა სურს დაიდოს სახელმწიფო ხელშეკრულება ავსტრიასთან.

შემდეგ გამოვიდა ბიდო, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაცია ხელს არ მოაწერს ავსტრიის ისეთ სახელმწიფო ხელშეკრულებას, რომელშიც შეტანილ იქნება სსრ კავშირის წინადადებანი.

იდენმა გააკეთა დალესის განცხადების ანალოგიური განცხადება.

ფიგლმა შეიტანა ზოგიერთი ტექნიკური ხასიათის წინადადებანი ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის 56-ე და 57-ე მუხლების ტექსტის შესახებ, რომლებიც ეხება ოთხი სახელმწიფოს ვენელი ელჩების ფუნქციებს. მან აგრეთვე გამოთქვა სურვილი, რომ შემდეგში ავსტრიასთან ხელშეკრულების საკითხი არ მოიხსნას საერთაშორისო მოლაპარაკების დღის წესრიგიდან.

შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა.

საბჭოთა დელეგაცია, თქვა მან, ცნობად იღებს განცხადებებს, რომლებიც აქ გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობების წარმომადგენლებმა, აგრეთვე ავსტრიის წარმომადგენლის განცხადებას, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია ყურადღება მიაქციოს იმას, რომ იმ საკითხის გადაჭრა, რომელიც ჩვენ დღეს მთლიანად ვერ მოვაწესრიგეთ, არ გადაიდოს, და რომ მიღებულ იქნას ღონისძიებანი აქ გამოთქმულ თვალსაზრისთა შესათანხმებლად.

ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა დელეგაციის სახელით შემდეგი წინადადება შეიტანა:

„მიზნად ისახავს რა განაგრძოს ღონისძიებანი ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ შეთანხმების მისაღწევად,

სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკება გაგრძელდეს დიპლომატიური წესით ქალაქ ვენაში ავსტრიის მთავრობის მონაწილეობით".

ჯ. დალესმა ჯერ განაცხადა, რომ ერთი შეხედვით საბჭოთა კავშირის ეს წინადადება მას მისაღებად მიაჩნია. მაგრამ შემდეგ მან წარადგინა შესწორება საბჭოთა კავშირის წინადადების ტექსტისადმი. ეს შესწორება ითვალისწინებს, რომ ელჩების მოლაპარაკება ვენაში უნდა დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობა შეატყობინებს ახლანდელ თათბირზე წარმოდგენილ სხვა მთავრობებს, თუ როდის იქნება იგი მზად განსაზღვროს ავსტრიის ტერიტორიიდან თავისი ჯარების გაყვანის თარიღი.

დალესმა ერთხელ კიდევ ცხადყო ავსტრიის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის ნამდვილი მიზნები, განაცხადა რა, რომ „მიზანშეწონილი არ არის შეიქმნას ილუზია, თითქოს ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულება შესაძლებელი იყოს" და შეიძლება მას მალე მივაღწიოთო.

ბიდომ მხარი დაუჭირა დალესის შესწორებას, რომლის მიზანია დაფაროს ის, რომ არა სურთ მიიღონ საბჭოთა წინადადება, რომელიც მოითხოვს გაგრძელდეს მოლაპარაკება ავსტრიის საკითხზე ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს შორის შეთანხმების მისაღწევად ავსტრიის მონაწილეობით.

იდენმაც მხარი დაუჭირა დალესის მიერ შეტანილ შესწორებას.

ფიგლმა განაცხადა, მივესალმები იმას, რომ მოლაპარაკება გაგრძელდეს ვენაში იმ პირობით, თუ გვექნება რწმენა, რომ მოლაპარაკებას წარმატებითი შედეგები მოჰყვებაო.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა გამოთქვა საბჭოთა დელეგაციის აზრი დალესის მიერ შეტანილი შესწორების გამო.

არსებობს, თქვა მოლოტოვმა, ორი სხვადასხვა გზა: ერთი გზა ხელს უწყობს ავსტრიასთან ხელშეკრულების დადებას, მეორე გზა ხელს უშლის მის დადებას. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ დალესის წინადადება არ უწყობს ხელს ავსტრიასთან ხელშეკრულების დადებას.

შეეხო რა იმას, თუ რა მიზეზებმა წარმოშვა სიძნელენი ავსტრიასთან ხელშეკრულების დადების საქმეში, მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა: რომ არ იყოს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის ცდები, რომლებიც გამოიხატა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის გეგმებით, რომ არ იყოს ავსტრიის ანშლუსის გაძლიერებული საფრთხე, არც იმის საფუძველი იქნებოდა, რომ სიძნელეები წამოჭრილიყო ავსტრიასთან ხელშეკრულების დადების საკითხში. მაგრამ, როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობა ვერ იკისრებს რაიმე პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ გაძლიერდა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე.

ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა იმოქმედებს იმ წინადადების შესაბამისად, რომელიც დღეს საბჭოთა დელეგაციამ შემოიტანა.

შემდეგ მოლოტოვმა, როგორც თავმჯდომარემ, იკითხა, სურს თუ არა ვინმეს კიდევ განვაგრძოთ ავსტრიის საკითხის განხილვა. დალესმა უპასუხა, რომ მას სურს მხოლოდ გამოთქვას იმედი, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს დიპლომატიური კონტაქტი ექნებათ ურთიერთშორის, რათა, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება, ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხი გადასცენ თავიანთ ვენელ ელჩების განსახილველად.

იდენმა და ბიდომ განაცხადეს, არავითარი შენიშვნა არა გვაქვსო.

თავმჯდომარემ ვ. მ. მოლოტოვმა გამოაცხადა, რომ ავსტრიის საკითხის განხილვა დამთავრდა.

შემდეგ მინისტრები შეუდგნენ, როგორც დათქმული იყო, იმ ორი წინადადების განხილვას, რომლებიც გუშინდელ სხდომაზე შეიტანა საბჭოთა დელეგაციამ დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო — „გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები".

როგორც ცნობილია, პირველი წინადადება ითვალისწინებს, რომ სასურველია მიღწეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს შეთანხმება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიაში გერმანიის ყველა სახეობის პოლიციის რიცხვისა და შეიარაღების საკითხზე. საბჭოთა დელეგაციის მეორე წინადადება ითვალისწინებს იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაადვილება და გაფართოება და ამ მიზნით ორი სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნა.

შეიტანა რა ეს წინადადებანი, საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ მისი აზრით საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაწყდეს ძირითადი საკითხები, რომლებიც გერმანიის პრობლემას შეეხება, მაგრამ ამასთან მიზანშეუწონელი იქნებოდა ზოგიერთი იმ პრაქტიკული საკითხის გადაჭრაზე უარის თქმა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ გერმანიის ორივე ნაწილის ეკონომიურ და კულტურულ დაახლოებას.

დალესმა, ბიდომ და იდენმა, რომლებიც თათბირის მსვლელობაში სისტემატურად უარყოფდნენ საბჭოთა დელეგაციის კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა მიზანია გერმანიის მთელი პრობლემის ძირეული მოწესრიგება, დღესაც ცხადყვეს, რომ არა სურთ ხელი შეუწყონ ისეთ ღონისძიებათა განხორციელებასაც კი, რომლებიც დაეხმარებოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას. ამასთან დასავლეთის სამი სახელმწიფოს მინისტრებმა თავიანთი პოზიციის გასამართლებლად გამოიყენეს სხვადასხვა არადამაჯერებელი მოსაზრებანი.

მაგალითად, დალესმა საბჭოთა წინადადება გერმანიის ორივე ნაწილში გერმანიის პოლიციის საკითხის შესახებ უარყო იმ საბაბით, რომ ეს საკითხი თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენციას ეკუთვნის. ასევე უსაფუძვლოდ ცდილობდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა მინისტრები უარის თქმას საბჭოთა წინადადებაზე ორი სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნის შესახებ გაემართლებინათ იმის დამოწმებით, რომ ეს თათბირი თითქოს უფლებამოსილი არ არის მიიღოს ასეთი გადაწყვეტილებანი.

ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციის წინადადება, რომელიც ითვალისწინებს გერმანიის ორივე ნაწილში ყველა სახეობის პოლიციის რიცხვისა და შეიარაღების დადგენისათვის ხელის შეწყობას, ნაკარნახევი იყო ამ საკითხში გარკვეულობის შეტანის საჭიროებით.

მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ხელსაყრელი არ არის დასავლეთ გერმანიისათვის. სწორედ ამიტომ მოჰყავთ აქ სხვადასხვა მოსაზრება საბჭოთა წინადადების მიღების წინააღმდეგ.

შემდეგ მოლოტოვმა აღნიშნა იმ მოსაზრებათა უსაფუძვლობა, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოების მინისტრებმა წამოაყენეს, რათა გაემართლებინათ ის, რომ უარს ამბობენ აგრეთვე მეორე საბჭოთა წინადადების მიღებაზე.

საბჭოთა დელეგაცია, თქვა მოლოტოვმა, ცნობად იღებს ამ უარს და თათბირის განსახილველად შემოაქვს შემდეგი წინადადება:

„საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობები განაგრძობენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გერმანიის საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრა ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისად".

დალესმა მაშინვე აიღო სიტყვა და განაცხადა, რომ მისი აზრით, „ახლა ძალიან გვიანია ახალ წინადადებათა განხილვის დაწყება".

ბიდო მიემხრო დალესის პოზიციას, განაცხადა რა, რომ ეს საბჭოთა წინადადება „არ უნდა იყოს ამ თათბირის დოკუმენტებს შორის".

იდენმა ბუნდოვნად განაცხადა, რომ „მზად არის შეისწავლოს" საბჭოთა წინადადების ტექსტი, მაგრამ აქვე არსებითად დაეთანხმა დალესისა და ბიდოს აზრს.

ამის შემდეგ მინისტრებმა დაამტკიცეს შეთანხმებული ტექსტი კომუნიკესი ბერლინის თათბირის შედეგების შესახებ, რომელშიც შედის გადაწყვეტილებანი, მიღებული დახურულ სხდომებზე დღის წესრიგის პირველი პუნქტის — „საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი და საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა" — საკითხებზე.

ამასთან დაკავშირებით დალესმა აღნიშნა, რომ თათბირის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიარაღების შემცირების საკითხზე არ უნდა მოახდინოს რაიმე გავლენა მოლაპარაკებაზე ატომის საკითხის გამო, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

სხდომის დასასრულს მინისტრებმა გააკეთეს დასკვნითი განცხადებანი, რომლებშიც გამოთქვეს თავიანთი თვალსაზრისი თათბირის შედეგების გამო.

დალესმა განაცხადა, რომ დღის წესრიგის მეორე და მესამე პუნქტის განხილვის შედეგები „ფრიად სამწუხაროა". იგი შეეცადა აეხსნა ეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის „ძირითადი პრინციპების კონფლიქტით" და იცავდა პოლიტიკას, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები ახორციელებენ და რომლის მიზანია შეიქმნას დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფება, რაც აბრკოლებს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას.

შემდეგ დალესმა თქვა, რომ „ძირითადი პრინციპების კონფლიქტების მიუხედავად, მინისტრებმა ამ თათბირზე მიაღწიეს ერთგვარ წარმატებას". ამასთან მან აღნიშნა თათბირზე მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ ჟენევაში მოიწვიონ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, აგრეთვე უშუალოდ დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირი, და შეთანხმება შეიარაღების შემცირების საკითხზე.

იმით, რაც ჩვენ აქ გავაკეთეთ, თქვა დალესმა, ბევრი რამ ვისწავლეთ, და ამას აქვს ღირებულება, რომელიც არ უნდა უგულებელვყოთ. ამასთან დალესმა აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არ შეასუსტებენ თავიანთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია „მათი პოტენციალების მაქსიმუმამდე აყვანა", ე. ი. მოუწოდა შეიარაღების შემდგომი ზრდისაკენ.

ბიდომ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ „ბერლინის თათბირმა შეძლო თავიდან აეცილებინა სხვა თათბირების სავალალო ბედი და ის სავალალო ბედი, რომელიც ამ თათბირს ეწეოდა, რომ არავითარი შეთანხმება არ ყოფილიყო მიღწეული". ბიდომ დასძინა, რომ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ დარჩა ფრიად მნიშვნელოვანი უთანხმოებანი, რომელთა აღმოფხვრა არც ისე ადვილი იქნება. თუმცა თანამედროვე მსოფლიო გაყოფილია, თქვა მან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ ერთობლივ გადაწყვეტილებებს, რათა ვიაროთ წინ მშვიდობის გზით.

ბიდომ ახლანდელი თათბირის შედეგები შეაფასა როგორც „არც თუ მცირე". თათბირის მონაწილეებმა, თქვა მან, მიიღეს არსებითი გადაწყვეტილებანი, რომლებიც გააუმჯობესებენ საერთაშორისო ურთიერთობას. ეს იმაზე ნაკლებია, რისთვისაც უნდა მიგვეღწია, მაგრამ მიღწეული შედეგები მაინც საშუალებას აძლევს ოთხ სახელმწიფოს შეინარჩუნონ იმედი.

შემდეგ გამოვიდა იდენი. თათბირზე დღის წესრიგის მეორე და მესამე პუნქტის განხილვის შედეგებს მან უწოდა „იმედის გამაცრუებელი". ამასთან, იდენმა „ერთგვარი პლუსი" უწოდა თათბირზე მიღწეულ შეთანხმებებს. გადაწყვეტილება ჟენევაში თათბირის მოწვევის შესახებ მან დაახასიათა როგორც პროგრესი და აღნიშნა, რომ იგი იქნება იმ ჩიხის დასასრული, რომელშიც მოექცა პანმინჯონის მოლაპარაკება. მან დასძინა, რომ კმაყოფილებით მოელის ჟენევის თათბირს და იმედი აქვს, რომ ამ თათბირზე მიღწეულ იქნება მშვიდობის უზრუნველყოფისათვის დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი.

დალესმა ამერიკის დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა თათბირის მონაწილეებს.

სხდომის ბოლოს თათბირის შედეგების შესახებ განცხადება გააკეთა ვ. მ. მოლოტოვმა. (ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ქვეყნდება გაზეთის ამ ნომერში).

თავისი განცხადების დამთავრების შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია თავის მხრივ მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრებს თანამშრომლობისათვის ამ თათბირზე. საბჭოთა დელეგაცია მადლობას უხდის ოთხი დელეგაციის ყველა თანამშრომელს გულმოდგინე და წარმატებითი მუშაობისათვის ამ თათბირის მსვლელობაში.

ამის შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი დახურულად გამოაცხადა.

# ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

### ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის საბოლოო სხდომაზე 1954 წლის 18 თებერვალს

სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის ამ თათბირმა განიხილა მის წინაშე დასმული საკითხები საერთაშორისო მდგომარეობისა. თათბირზე მომხდარმა აზრთა ურთიერთგაზიარებამ ხელი შეუწყო აქ წარმოდგენილ სახელმწიფოთა პოზიციების სწორ გაგებას.

აქ მკაფიოდ გამოირკვა ჩვენი მთავრობების პოზიციათა განსხვავება. ამასთანავე უფრო ნათელი გახდა ამ განსხვავების შემცირების გზები, რამდენადაც ამისადმი მისწრაფებას ნამდვილად გამოიჩენენ დაინტერესებული მხარეები.

თავისი უცვლელი პოლიტიკის — მშვიდობის პოლიტიკის ერთგულ სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ბერლინის თათბირი იმდენად მოუტანს სარგებლობას ხალხებს, რამდენადაც ხელს შეუწყობს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებას.

ცნობილია, რომ ზოგიერთ დიდ სახელმწიფოში არის ძალები, რომლებიც ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მოწინააღმდეგენი არიან. ეს ძალები დაინტერესებული არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნებით, შესაძლოა, გაძლიერებითაც კი. ისინი, მაგალითად, შეაშინა ომის შეწყვეტამ კორეაში, რადგან ისინი დაინტერესებული არიან დიდი სამხედრო დაკვეთებითა და გამალებული შეიარაღებით. ეს ხომ ხელს უწყობს მათ გაასქელონ ჯიბე, გაადიდონ მოგება და ზემოგება.

ასეთია ამ ქვეყნებში ვიწრო და მხოლოდ განსაკუთრებით პრივილეგიური ჯგუფების ინტერესები, რომლებიც ესწრაფვიან თავიანთი სიმდიდრის განუსაზღვრელ ზრდას სხვა ადამიანების ხარჯზე. ხალხის მასების ინტერესები კი და, შეიძლება ითქვას, დიდი და პატარა ერების ინტერესები სულ სხვაა. ხალხები დაინტერესებული არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, მშვიდობის განმტკიცებით. სწორედ ამ ინტერესებით ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მთავრობა მთელ თავის საგარეო პოლიტიკაში.

ამ თათბირზე მიღწეულია შეთანხმება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები მიიღებენ ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყონ განიარაღების პრობლემის, ან, ყოველ შემთხვევაში, შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების პრობლემის წარმატებით გადაჭრას. ეს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს.

შემდეგ, მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ ჟენევაში მოვიწვიოთ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, აგრეთვე უშუალოდ დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირი შესაბამის საკითხებზე. გათვალისწინებულია, რომ ამ თათბირზე ხელი შევუწყოთ კორეის საკითხის საბოლოო მოწესრიგებას. ასეთი შეთანხმება შეესაბამება მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს და კორეის ეროვნული გაერთიანების საკითხის გადაჭრის ინტერესებს. თათბირზე განვიხილავთ აგრეთვე ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხს. ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხმა ჯეროვნად უნდა დაუჭიროს მხარი ინდოჩინეთის ხალხთა მისწრაფებას მშვიდობის დამყარებისა და ეროვნული თავისუფლებისადმი.

გერმანიის პრობლემის განხილვის დროს ჩვენ ყველანი ვაცხადებდით, რომ ამ საკითხის გადაჭრა განუყრელად დაკავშირებულია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანია უნდა გაერთიანდეს დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე და არ უნდა დავუშვათ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა.

ახლა საკმაოდ გამოირკვეულია, რაში მდგომარეობს ოთხი სახელმწიფოს პოზიციების განსხვავება გერმანიის საკითხში. ბერლინის ამ თათბირმა განსაკუთრებით ნათელი გახადა, რომ გერმანიის პრობლემის გადაჭრა უწინარეს ყოვლისა თვით გერმანელების საქმეა. საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობებს აკისრიათ პასუხისმგებლობა გერმანიის საკითხის გადაჭრისათვის, მაგრამ მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ უცხოეთის საოკუპაციო ჯარებს გერმანიის ტერიტორიაზე აქვთ მხოლოდ შეზღუდული ამოცანები და არ უნდა ჩამოაცილონ გერმანელები გერმანიის გაერთიანების, დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე გერმანიის სახელმწიფო ერთიანობის აღდგენის საკითხების გადაჭრას.

ამ თათბირზე ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ შევთანხმდით ისეთ უბრალო საკითხზეც კი, რომ მოგვესმინა აქ გერმანელებისათვის და გაგვეგო, რას ფიქრობს თვით გერმანელი ხალხი გერმანიის გაერთიანების გადაუდებელ ამოცანებზე და იმაზე, რომ გერმანელმა ხალხმა მონაწილეობა მიიღოს მშვიდობისა და ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფაში. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ, თუ ჩვენ მოვუსმენდით გერმანელებს, მოვუსმენდით აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებს, ამით დიდად გავაადვილებდით იმ გადაუდებელი საკითხების გადაჭრას, რომლებიც მთელ გერმანელ ხალხს აინტერესებს.

ყველა გერმანელის ყურადღება მიპყრობილია გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის საკითხზე. ამისათვის ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების რაც შეიძლება მალე მოწყობას. თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს მოეწყოს თავისუფალი არჩევნები გერმანიაში, ეს არჩევნები უნდა მოაწყონ თვით გერმანელებმა და არა უცხოეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ.

სრულიად გერმანიის არჩევნების ნამდვილი თავისუფლების უზრუნველყოფისათვის საბჭოთა მთავრობამ წინადადება შემოიტანა გავიყვანოთ გერმანიის მთელი ტერიტორიიდან უცხოეთის საოკუპაციო ჯარები, გარდა ზუსტად განსაზღვრული კონტინგენტებისა. მაშინ აღვკვეთდით უცხო სახელმწიფოების ჩარევას და ზეგავლენას გერმანელი ხალხის ისეთ წმინდა საშინაო საქმეში, როგორიც არის სრულიად გერმანიის ეროვნული პარლამენტის დეპუტატების თავისუფალი არჩევნები.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება გადაუდებელი საკითხია. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადების მოთხოვნა ნიშნავს იმას, რომ მოვითხოვოთ გერმანიის ერთიანობის რაც შეიძლება მალე აღდგენა. ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევთანხმდით იმაზე, რომ დავიწყოთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება. მაგრამ ეს საკითხი უნდა გადაიჭრას. საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ოთხი სახელმწიფო განაგრძობს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გერმანიის საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრა ევროპის მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისად.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის მთავრობებმა შეძლეს შეთანხმებოდნენ ერთმანეთს ომის წლებში. მით უფრო უნდა გამონახონ მათ გზები იმისათვის, რომ შეათანხმონ თავიანთი მოქმედება მშვიდობიან პირობებში, განსაკუთრებით ახალი ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქვეყნების სამხედრო დაჯგუფებათა შექმნისადმი, რომლებიც მიმართულია სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. ასეთი განვითარება საერთაშორისო ურთიერთობაში იწვევს ომის საფრთხის გაძლიერებას, ეწინააღმდეგება ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის დამყარების ინტერესებს.

საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია არ აღნიშნოს განსაკუთრებული საშიშროება ისეთი სამხედრო დაჯგუფებისა, როგორიც არის „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება", რომლის შექმნა ნიშნავს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას. ასეთი გეგმები არ შეესაბამება მშვიდობისა და ევროპაში უშიშროების ინტერესებს.

ამიტომ საბჭოთა მთავრობამ შემოიტანა წინადადება, რომელსაც შეიცავს ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების პროექტი. ამ ხელშეკრულებაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს თანასწორუფლებიან საფუძველზე გერმანიამაც, ამჟამად აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის სახით, ხოლო ერთიანობის აღდგენის შემდეგ — გაერთიანებულმა გერმანიამ. ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის განხორციელებას შეიძლება ხელი შეუწყონ არა ევროპის სახელმწიფოებმაც. სწორი არ იქნება დავივიწყოთ ის, რომ როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო ევროპაში. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ.

ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხი შეიძლებოდა გადაგვეჭრა უკვე ბერლინის ამ თათბირზე. ამას ჯერჯერობით ხელი შეუშალა ზემოხსენებულმა გეგმებმა, რომლებიც აძლიერებენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხეს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობა რწმენას გამოთქვამს, რომ შეიძლება ეს საკითხი გადაიჭრას უახლოეს დროში. საჭიროა ეს გაითვალისწინოს ავსტრიის მთავრობამ და საჭიროა, რომ ეს სწორად გაიგოს ავსტრიელმა ხალხმა.

ბერლინის თათბირის მოწვევას და საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის უშუალო კონტაქტის განახლებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ახლანდელ პირობებში. ამან ხელი შეუწყო ზოგიერთი მომწიფებული საერთაშორისო პრობლემის განხილვას, რომელთა გადაჭრა საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის.

ის ამოცანები, რომლებიც გადაუჭრელი დარჩა ამ თათბირზე, არ იხსნება დღის წესრიგიდან. ჩვენ უნდა განვაგრძოთ მეცადინეობა და კიდევ უფრო ენერგიულად ვიბრძოლოთ მათი გადაჭრისათვის.

ბერლინის თათბირი, როგორც ჩვენ იმედი გვაქვს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო საქმეებში სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებას მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

# კ ო მ უ ნ ი კ ე

### საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის შესახებ

1954 წლის 25 იანვრიდან 18 თებერვლამდე ბერლინში მიმდინარეობდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვ. მ. მოლოტოვის, ჯონ ფოსტერ დალესის, ჟორჟ ბიდოს და ანტონი იდენის თათბირი. ისინი შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებში:

I.

„სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებსაც სხდომები ჰქონდათ ბერლინში,

**მხედველობაში იღებენ,** რომ მშვიდობიანი გზით ერთიანი და დამოუკიდებელი კორეის შექმნა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში და აზიის სხვა რაიონების მშვიდობის აღდგენაში;

**წინადადებას იძლევიან,** რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის და იმ სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირი, რომელთა შეიარაღებული ძალები მონაწილეობას იღებდნენ კორეის საომარ მოქმედებაში და რომლებიც მოისურვებენ დასწრებას, მოწვეულ იქნას ჟენევაში 1954 წლის 26 აპრილს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მისაღწევად;

**შეთანხმდნენ,** რომ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხი აგრეთვე განხილულ იქნება თათბირზე, რომელზეც მიწვეული იქნებიან სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

**ამასთან მხედველობაშია მიღებული,** რომ არც აღნიშნულ თათბირზე მიწვევა, არც მისი ჩატარება არ უნდა იქნას განხილული როგორც დიპლომატიური აღიარება ყველა შემთხვევაში, როცა ეს ჯერ არ მომხდარა".

II.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები,

დარწმუნებულნი, რომ საერთაშორისო უთანხმოებათა გადაჭრა, რაც საჭიროა მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად, მნიშვნელოვანწილად გაადვილდებოდა შეთანხმებით განიარაღების, ან, თუნდაც, შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ,

მომავალში მოაწყობენ აზრთა გაცვლას, რათა ხელი შეუწყონ ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრას, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების 1953 წლის 28 ნოემბრის რეზოლუციის მე-6 პუნქტში".

---

ოთხ მინისტრს შორის მოხდა აზრთა ყოველმხრივი ურთიერთგაზიარება გერმანიის საკითხზე, ევროპის უშიშროების საკითხებზე, აგრეთვე ავსტრიის საკითხზე, მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ამ საკითხებზე.

# ბ ე რ ლ ი ნ ი ს მ შ რ ო მ ე ლ თ ა დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ა

ბერლინი, 19 თებერვალი. (საქდესი). გუშინ ბერლინის დემოკრატიულ სექტორში გაიმართა მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც გამოხატავდა იმას, რომ გერმანელი ხალხი მხურვალედ იწონებს საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე და რომ გერმანელ პატრიოტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და მშვიდობის მოყვარე გერმანიის შექმნისათვის.

ქალაქის ყოველი კუთხიდან უნტერ-დენ-ლინდენის ქუჩაზე შეიკრიბა 200 ათასი კაცი — ბერლინის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. დემონსტრანტთა კოლონებს მოჰქონდათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები, დროშები და ტრანსპარანტები ლოზუნგებით, რომლებიც შეიცავდნენ მოწოდებას დაიდოს საზავო ხელშეკრულება ერთიან და დემოკრატიულ გერმანიასთან, რაც შეიძლება მალე გაიყვანონ საოკუპაციო ჯარები, გააუქმონ ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებანი და შექმნან სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა.

უნტერ-დენ-ლინდენზე, ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის შენობის წინ, გაიმართა მიტინგი.

მიტინგის შემდეგ დემონსტრანტთა კოლონები დაიძრნენ უნტერ-დენ-ლინდენით და ჩაუარეს საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. დემონსტრანტთა რიგებიდან ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს!".

„გაუმარჯოს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!".

## ს. დ. ბაგიროვის ცხედრის გასვენება

[illegible]

## უნგრეთ-საბჭოთა ხელშეკრულების ხელმოწერის მეექვსე წლისთავი

[illegible]

## დამთავრდა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის ერთთვიური ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

[illegible]

## საზღვარგარეთის მეთაურის კომიტეტის მიმართვა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი

[illegible]

## ფრანგი ჯარისკაცი ვიეტნამის სახალხო არმიის მხარეზე გადადიან

[illegible] ... პედიციო კორპუსის 35 ჯარისკაცი გადავიდა.

## ლიბიის ახალი მთავრობა

ლონდონი, 19 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლიბიაში შეიქმნა ახალი მთავრობა საიდ მუჰამედ საკასლის მეთაურობით. საკასლი დროებით შესრულებს აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას.

## ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმი

პეკინი, 18 თებერვალი. (საკდესი). როგორც დღეს ცენტრალური გაზეთები იუწყებიან, 6-10 თებერვალს მიმდინარეობდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმი. ამხანაგი მაო ძე-დუნი, რომელიც ახლა დასასვენებლად იმყოფება, პლენუმს არ დასწრებია.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმზე მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლიუ შაო-ციმ.

პლენუმზე დიდმნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთეს აგრეთვე ჯუ დემ, ჯოუ ენ-ლაიმ და სხვებმა — სულ 44 კაცმა. დეტალური განხილვის შემდეგ პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო „გადაწყვეტილება პარტიის ერთიანობის განმტკიცების შესახებ“, აგრეთვე ერთსულოვნად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუშაობა ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში, და მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1954 წელს მოწვეულ იქნას სრულიად ჩინეთის პარტიული კონფერენცია.

## დამთავრდა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მეათე სესია

კანდი, (ცეილონი), 18 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მეათე სესია. სესიამ მოიწონა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მოხსენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოსათვის. საბჭოთა წარმომადგენელმა მენშიკოვმა, რომელსაც არ გამოუთქვამს აზრი მოხსენების მოწონების წინააღმდეგ, უფლება დაიტოვა აზრი გამოთქვას ამ მოხსენების შესახებ ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში.

ხმის უმრავლესობით კომისიამ უარყო ამერიკელი დელეგატის ცდა, რომელმაც მოითხოვა მოხსენებიდან ამოეღოთ საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული წინადადებანი. ამერიკის წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცეს ინდოეთმა, ინდონეზიამ, ბირმამ, პაკისტანმა, საფრანგეთმა, ახალმა ზელანდიამ და საბჭოთა კავშირმა. ავღანეთისა და ავსტრალიის წარმომადგენლებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს. ამერიკის წინადადებას ხმა მისცეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ჰოლანდიის, ფილიპინების წარმომადგენლებმა და გომინდანელმა. ტაილანდს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

იაპონიის წარმომადგენლის წინადადებით სესიამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისია მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება კომისიის მისწრაფებას — აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის წევრად მიიღოს ყველა წევრი-თანამშრომელი, რომლებსაც დამოუკიდებლობა აქვთ საერთაშორისო ურთიერთობაში“.

აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემდეგი სესია მოწვეულ იქნას ტოკიოში 1955 წლის მარტ-აპრილში.

## ბერლინის დემოკრატიული პრესა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შესახებ

ბერლინი, 18 თებერვალი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესის ყურადღების ცენტრში კვლავ რჩება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ყველა დემოკრატიულმა გაზეთმა დღეს პირველ გვერდზე გამოაქვეყნა 17 თებერვლის სხდომაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის მიერ შეტანილი ახალი წინადადებანი დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემსუბუქებისა და გაფართოების ღონისძიებათა შესახებ და იმის შესახებ, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება პოლიციის რაოდენობასა და შეიარაღებაზე დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიაში.

ყველა გაზეთი აქვეყნებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა წრეების წარმომადგენელთა მრავალ გამოხმაურებას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის წინადადებათა გამო ბერლინის თათბირზე.

„ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა გამოხმაურება საერთო სათაურით „ვ. მოლოტოვის წინადადებანი ყველა გერმანელ პატრიოტს ბრძოლისადმი ახალ მისწრაფებას უნერგავს“.

სათაურით „კი ნუ უარყოფთ, არამედ შევთანხმდეთ!“ გაზეთმა დაბეჭდა ცნობა ორანიენბურგის (პოტსდამის ოლქი) რაიონის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მშრომელების კონფერენციის შესახებ. ამ კონფერენციაზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილია გეგმა, რომელიც შეიტანა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა.

გაზეთები აგრეთვე აქვეყნებენ მთელ რიგ მასალებს, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ გერმანელი პატრიოტები — მუშები, გლეხები და ინტელიგენცია ერთსულოვნად იწონებენ და უჭერენ მხარს იმ წინადადებებს, რომლებიც შეიტანა საბჭოთა დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე.

## დასავლეთ ბერლინის ხელისუფლებმა ჩაშალეს დ. ოისტრახის კონცერტი

ბერლინი, 18 თებერვალი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინში დღეისათვის დანიშნული იყო საბჭოთა მევიოლინე დ. ოისტრახის კონცერტი. რადგან დასავლეთ ბერლინის ხელისუფლებმა დაბრკოლება შეუქმნეს მის მოწყობას, კონცერტი არ გაიმართა. როგორც გერმანული პრესა აღნიშნავს, დასავლეთ ბერლინის საზოგადოებრიობა აღშფოთებას გამოთქვამს ხელისუფალთა მოქმედების გამო, რომლებმაც ჩაშალეს დ. ოისტრახის კონცერტი.

## საბჭოთა მსახიობების გამოსვლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 18 თებერვალი. (საკდესი). ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა მსახიობების კონცერტები. 17 თებერვალს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტებმა ი. პეტროვმა, ი. მასლენიკოვამ და მოსკოვისა და ლენინგრადის სხვა მსახიობებმა დიდი კონცერტი გამართეს ი. ბ. სტალინის სახელობის ბერლინის ელექტროაპარატურის ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

შეკრებილნი აღტაცებით მიესალმნენ საბჭოთა მსახიობებს.

# თბილისი

ქალაქის ქრონიკა



ყოველდღიურად დიდი რაოდენობით იყიდება საარჩევნო ლიტერატურა ქალაქ თბილისის საქწიგნის მაღაზიებში. სურათზე: საქწიგნის № 5 მაღაზიაში ახალგაზრდა ამომრჩევლები ყიდულობენ საარჩევნო ლიტერატურას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

## ხელოვნების ამბები

### ახალი ოპერა

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა მიმდინარე სეზონის პირველი ახალი სპექტაკლი — ა. ანდრიაშვილის ახალი საბავშვო ოპერა „ჩხიკვთა ქორწილი“.

ოპერის ლიბრეტო დაწერილია ნ. ლუხუტაშვილის მიერ ვაჟა ფშაველას ამავე სახელწოდების მოთხრობის მოტივებზე. დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორს გ. გელოვანს, მხატვრობა ი. ასკურავას, დირიჟორია ვ. ფალიაშვილი.

სპექტაკლში მონაწილეობს ორი შემადგენლობა. მთავარ პარტიებს ასრულებენ ნ. ხარაძე და თ. თაქთაქიშვილი (ჩხიკვი ქეთევანი), ა. ჩაკალიდი და გ. ტორონჯაძე (ჩხიკვი ზაქარა), მ. ნაკაშიძე და ე. ებიტაშვილი (ბულბული), ვ. ხამაშურიძე და პ. თომაძე (არწივი), შ. ვაშალომიძე (მელია), ნ. მიქელაძე (ნუკრი), ზ. ანჯაფარიძე (კოდალა), გ. ყიფიანი და გ. მარგიევი (მგელი).

### ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საღამოები

ამ დღეებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, რუსთაველის სახელობის თეატრში და ამ თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ბუქარესტში დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტები. კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლის ხელმძღვანელებმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ნ. რამიშვილმა და ი. სუხიშვილმა.

### მარინე იაშვილის კონცერტები

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში წარმატებით ჩაიარა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის მ. იაშვილის ორმა კონცერტმა.

სასოლო კონცერტში ნიჭიერმა მევიოლინემ დიდი მხატვრული გემოვნებითა და ტექნიკური სრულყოფით შეასრულა ბახის, ჰენდელის, პაგანინის, ტარტანის, რახმანინოვის, პროკოფიევის ნაწარმოებები. საუკეთესოდ ჟღერდა ბრამსის კონცერტიც, რომელიც მ. იაშვილმა შეასრულა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. დირიჟორობდა ზ. ხუროძე.

## ქარხნის ბიბლიოთეკაში

შესვენების დროს, საღამოობით სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ბიბლიოთეკის დარბაზი ყოველთვის სავსეა. მუშა-მოსამსახურეები მოდიან აქ, რომ მიიღონ ახალი წიგნები, წაიკითხონ ჟურნალ-გაზეთები.

ყოველწლიურად იზრდება ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. ამჟამად ბიბლიოთეკას 17.575 წიგნი და ჟურნალ-გაზეთი აქვს. იზრდება მკითხველთა რიცხვიც. უკანასკნელ ორ თვეში ბიბლიოთეკამ 300-ზე მეტი ახალი მკითხველი შეიძინა, სულ კი 3.000-მდე მკითხველი ჰყავს.

ბიბლიოთეკას ქარხნის ყოველ საამქროსთან აქვს ფილიალები, რომლებსაც ყოველდღიურად აწვდის ახალ ლიტერატურას. მკითხველებს მომსახურებას უწევენ აგრეთვე წიგნის დამტარებლები, ბიბლიოთეკის აქტივი. მათ შორის კარგი მუშაობით გამოირჩევა დიასახლისი ვ. ტერურაგოვა.

## აბრეშუმის ქსოვილების კაბინეტი

სამი წელია, რაც თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასთან არსებობს აბრეშუმის ქსოვილების ნიმუშთა კაბინეტი. აქ თავმოყრილია ფაბრიკის მიერ გამოშვებული სხვადასხვა მოხატულობისა და გაფერადების ქსოვილების — კრეპჟორჟეტის, კრეპსატინის, კრეპდეშინის, კრეპმარიზინის, ხელოვნური მარკიზეტის, „მოსკრეპის“, შტაპელური ქსოვილების, ხელოვნური სარჟისა და სხვა ქსოვილების 550 ნიმუში.

კაბინეტი ყოველთვიურად მდიდრდება ქსოვილების ახალ სახეობათა ნიმუშებით, რომლებიც ლამაზად არის წარმოდგენილი აქ მოწყობილ გამოფენებზე და ალბომებში. კაბინეტს აქვს მყიდველთა შთაბეჭდილებებისა და წინადადებათა წიგნი.

ამ დღეებში ფაბრიკას ეწვიენ უკრაინისა და თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების საქონელმცოდნეები. კაბინეტში მათ დაათვალიერეს ქსოვილთა ნიმუშების გამოფენა. უკრაინელებმა აირჩიეს რამდენიმე სახის ნიმუში და ფაბრიკის დირექციასთან დადეს ხელშეკრულება უკრაინელი მომხმარებლებისათვის სხვადასხვა ქსოვილების დასამზადებლად.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.


**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 20 თებერვალს | დ. თორაძე — მშვიდობისათვის (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით). |
| 21 თებერვალს | დღის 12 საათზე ა. ანდრიაშვილი — ჩხიკვთა ქორწილი; საღამოს პ. ჩაიკოვსკი — მაზეპა |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში**

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — ჰაიტი, მარჯანიშვილის სახელობის — უფსკრულთან, გრიბოედოვის სახელობის — თოლია, მუსიკალური კომედიის — სამთა სიყვარული, მოზარდ მაყურებელთა ქართული — სურამის ციხე (აბონემენტი № 24 6 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — სიღარიბე საძრახისი არ არის (აბონემენტი № 28, 7 ს.), სანიტარული კულტურის — ცხოვრება იწყება, თოჯინების ქართული — ხაფანგში (10 ს. და 3 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, კომკავშირელი, იანი, ვოროშილოვის სახელობისა და პლეხანოვის სახელობის კლუბები — ალბანეთის დიდი მეომარი — სკანდერბეგი, კოლხიდა — აჩრდილები, ოქტომბერი, სპარტაკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ბედის მოწოდება, ოფიცერთა სახლი — კინოფესტივალი.

„სოიუზპეჩატი“

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო

ჟურნალ-გაზეთების ხელისმომწერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ,

რომ 1954 წლის მეორე კვარტალისათვის დაიწყო ვადაგასული ხელმოწერის აღდგენა ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე.

ხელმოწერა მიიღება კავშირგაბმულობის კანტორებში, განყოფილებებში, სააგენტოებში და „სოიუზპეჩატში“.

„სოიუზპეჩატი“.

**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

ყოველდღე

საცირკო კოლექტივის და ატრაქციონ „დათვების ცირკის“ გასტროლები ვალენტინ ფილატოვის ხელმძღვანელობით

დიდი საცირკო პროგრამა

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირაობით

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1, 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

მოქალაქე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მახვილაძემ, მცხოვრებმა კალინინის ქ. № 57, აღძრა საქმე კამოს ქ. № 55 მცხოვრებ მოქალაქე ქეთევან ვლადიმერის ასულ ფურცელაძე-მახვილაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.


მეუღლე მარიამ, შვილები ლუსია, ირა, სიძეები ა. ყალაბეგიშვილი, გ. გაფრინდაშვილი, შვილიშვილები დავით, ავთანდილ, ძმა ლევან, ოჯახებით იუწყებიან მირონ დავითის-ძე მაჩაიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-II, 8 ს. გამოსვენება 21-II მცხეთის III შესახ. № 8.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან მარიამ იოსების ასულ ნაკაშიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-II, 8 ს. გამოსვენება 21-II, 3 ს. ბესიკის ქ. № 2.

მეუღლე მარიამ, შვილები ვასო, ნელი, ლიდა, მაგდლენა, შოთა, ალბერტ, რძალი ნატალია, სიძე მ. მელიქიშვილი ოჯახებით იუწყებიან არონ გრიგოლის-ძე ბარძიმაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-II, 4 ს. ს. გრემში (ყვარლის რაიონი).

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება მელიტონ სტეფანეს-ძე ჯაფარიძის გარდაცვალებას.

შვილი შერმადინ, შვილიშვილები დალი, გულნარა იუწყებიან ალათი გიორგის ასულ სიხარულიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-II, 8 ს. გამოსვენება 21-II, 3 ს. ჯავახიშვილის ჩიხი № 3-ა.

შვილები მარო, გოგუცა, ალექსანდრა, გრიგოლ, დავით, ნიკოლოზ ჰყონიები, რძლები ფაცია, ქსენია, ვერა, სიძეები ა. იმნაძე, შ. ბერძენიშვილი და შვილიშვილები იუწყებიან ნადია ალექსანდრეს ასულ გოთუაჰყონიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-II ჩიბათში (ლანჩხუთის რ.).

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს კოლექტივი იუწყება თანამშრომელ ნესტორ მელქოს-ძე მესხიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-II, 8 ს. გამოსვენება 21-II, 4 ს. ფალიაშვილის ქ. № 42/5.

მეუღლე ელისაბედ, შვილები გიორგი, ევგენი, ძმა სერაფიონ, რძალი ანა, შვილიშვილები მანანა, ამირან მაჭავარიანები იუწყებიან სერგო ივანეს-ძე მაჭავარიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22-II, 8 ს. გამოსვენება 23-II, 4 ს. ტელმანის ქ. № 3.

დები მარო, ანა, თამარ, ძმები მიხეილ, ნიკოლოზ ჩხეიძეები ოჯახებით იუწყებიან ექიმ ვლადიმერ დავითის-ძე ჩხეიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-II, 8 ს. გამოსვენება 21-II, 3 ს. რუსთაველის პროსპ. № 32.

შვილი ნინო დოლბაია, სიძე ალექსი ასათიანი შვილებით იუწყებიან თედორე საბასძე დოლბაიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-II დ. ცაგერში.

ძმისწულები დიომიდე, ნათელა, თინა, ნინო, ვალენტინა ანთაძეები, დისწულები ე. კრემერი, ა. მაგომეტოვი იუწყებიან მარიამ იოსების ასულ ნაკაშიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 21-II, 3 ს. ბესიკის ქ. № 2.

ცოლისდა აკვირინა ლომთათიძე, ქვისლები ვანო კალანდაძე, სიმონ ლომთათიძე ოჯახებით იუწყებიან ნესტორ მელქოს-ძე მესხიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 21-II, 4 ს. ფალიაშვილის ქ. № 42/5.

მაზლი ვლადიმერ, რძალი შურა, მაზლიშვილი ნენი ჯაფარიძეები იუწყებიან მარიამ სოლომონის ასულ კახიძე-ჯაფარიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-II ბოლნისში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 60.

მეუღლე ნინო, შვილები თამარ, მიხეილ, რძალი ნინო, სიძე ირაკლი მაღალაშვილი, შვილიშვილები გოგი, ოთარ, გივი იუწყებიან სიმონ თედორეს-ძე კალანდარიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22-II 8 ს. გამოსვენება 23-II, 5 ს. თარხნიშვილის ქ. № 11.

მშობლები ანეტა, ვასილ, მეუღლე თინა, ბებია ანაპონისტა, ძმა იონა, დები ცაგუ, ნათელა ოჯახებით იუწყებიან ილია ვასილის-ძე მაღლაკელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-II როდინაულში (ზესტაფონის რაიონი).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-07, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00937 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“